ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №297002

ნომერი: AR169172

თარიღი : 26.07.2012

გაცემის თარიღი : 06.08.2012

გაცნობის თარიღი : 09.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუდაპეშტი , /ტაშკენტის N22/22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დათუნა მერაბიშვილი პ/ნ 03001005531
- ადიგენი ს. უდე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე პირველი კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების (შელესვა-შეღებვის) განხორციელების შესაძლებლობის

დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა/ტაშკენტის #22/22-ში, შპს "W/M ინვესთმენთი"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (შელესვა-შეღებვის) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს "W/M ინვესთმენთი"-ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012145030 12.04.2012წ. საკადასტრო კოდი #01.10.14.007.026, შპს "W/M ინვესთმენთი"-ს მიერ გაცემული მინდობილობა, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა/ტაშკენტის #22/22-ში, შპს "W/M ინვესთმენთი"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (შელესვა-შეღებვის) განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.